



29.04.2020

თბილისი

შპს „მედ ეფემი“

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ რომლის თანახმად მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის საფუძველზე და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს საჩივრის განხილვის გამჭვირვალე პროცესი, ამდენად ვხელმძღვანელობ რა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლითა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ შესაბამისი ნორმებით

ვბრძანებ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ ით მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით დამტკიცდეს შპს „მედ ეფემი“ის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულება.
2. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს შპს მედ ეფემი“ ის ვებ გვერდზე (batumifm.ge) და ადმინისტრაციულ შენობაში განცხადებებისათვის სპეციალურად განკუთვნილ დაფაზე.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან

შპს "მედ ეფემი"

დირექტორი: ირაკლი ბანძელაძე

